შპს მაგთიკომის ფიქსირებულ ქსელთან სავალდებულო დაშვების და საბითუმო მომსახურების შეთავაზების წინადადება („ოფერტა“)

დანართი - კონფიდენციალურობის შეთანხმება

დანართი - კონფიდენციალურობის შეთანხმება

ხელშეკრულება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის შესახებ დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

1. შპს „მაგთიკომი“ (ს/კ: 20876606);
   მისამართი: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაის #7;
   ელ. ფოსტა: [----------];
   რომელიც წარმოდგენილია გენერალური დირექტორის მოადგილის [----------] სახით (შემდგომში - „ოპერატორი“) და

2. [----------] ([----------])“,
   მისამართი: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაის #7;
   ელ. ფოსტა: [----------];
   რომელიც წარმოდგენილია დირექტორის [----------] სახით, (შემდგომში - „დაშვების მსრუველი“)

ერთად წოდებული როგორც ,,მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე როგორც ,,მხარე”,

პრეამბულა

ვინაიდან, „დაშვების მსურველმა“ მიმართა „მაგთიკომს“ და განახორციელა აქცეპტი „მაგთიკომის“ „ოფერტაზე“, შესაბამისი „დაშვების ხელშეკრულების“ გაფორმების;

ვინაიდან, „ოფერტა“ ითვალისწინებს მასზე აქცეპტის განხორციელების შემდგომ „დაშვების ხელშეკრულების“ გაფორმებაზე მოლაპარაკებების დაწყებას;

ვინაიდან, „მხარეთა“ სურვილია დაიცვან მოლაპარაკების წარმოების პროცესში და „დაშვების ხელშეკრულების“ მოქმედებისას გაცვლილი ინფორმაციის კონფიდენციალურობა;

ვინაიდან, „კონფიდენციალურ ინფორმაციის“ გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს „გამმჟღავნებელ მხარეს” და „ოფერტა“ ითვალისწინებს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას;

დანართი - კონფიდენციალურობის შეთანხმება

ვინაიდან, „მხარეთა“ სურვილია, რომ მათ შორის გაცვლილი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის წესი იყოს დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით;

ამდენად, „მხარეები“ თანხმდებიან შემდეგზე:

Contents

1. ტერმინთა განმარტება 4
2. მხარეთა ვალდებულებები 5
3. კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება და დაცვა 6
4. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება 8
5. კომუნიკაციის ფორმა 9
6. მხარეთა პასუხისმგებლობა 10
7. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა 11
8. დასკვნითი დებულებანი 11

დანართი - კონფიდენციალურობის შეთანხმება

1. ტერმინთა განმარტება

1.1 **„გამჟღავნებელი მხარე“** - „მხარე“, რომელიც მოლაპარაკების ან „დაშვების ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში აწვდის/უმჟღავნებს „კონფიდენციალურ“ ინფორმაციას მეორე „მხარეს“.

1.2 **„დაშვების ხელშეკრულება“** – „ოფერტის“ საფუძველზე გაფორმებული ქსელთან დაშვების ხელშეკრულება.

1.3 **„ინფორმაცია“** - ნებისმიერი სახის, მათ შორის ელექტრონული ფორმით „მხარისთვის“ გადაცემული/გაზიარებული: ინფორმაცია, დოკუმენტი, პერსონალური მონაცემი, ფინანსური თუ ტექნიკური გათვლები და მოლოდინები, წერილი, გამოგონება, ფაილი, ჩანაწერი და სხვ.

1.4 **„კონფიდენციალური ინფორმაცია“** - ყველა და ნებისმიერი ინფორმაცია, სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო, კომერციული, იურიდიული, ფინანსურ-ეკონომიკური, პერსონალური ან სხვა ხასიათის ინფორმაცია, მონაცემთა ბაზები, მათ შორის, საწარმოო საიდუმლოს შემცველი, “ნოუ-ჰაუ”, „გამამჟღავნებელ მხარის“ დამფუძნებლებზე, აქციონერებზე, ფილიალებზე, წარმომადგენლობებზე, შვილობილ და დამოკიდებულ საზოგადოებებზე, მომხმარებლებზე და კონტრაჰენტებზე, აგრეთვე ინფორმაცია, რომელსაც აქვს ნამდვილი ან პოტენციური კომერციული ღირებულება იმის გამო, რომ არ არის ცნობილი „მესამე მხარისათვის“, და რომელთანაც არ არსებობს თავისუფალი ხელმისაწვდომობა კანონიერ საფუძველზე, და „ნებისმიერი“ სახის ინფორმაცია, რომელიც მიწოდებულ იქნება „გამამჟღავნებელი მხარის” მიერ „მიმღები მხარისთვის“ ან „მიმღები მხარისთვის“ ცნობილი გახდება „დაშვების ხელშეკრულების“ პირობებზე მოლაპარაკებისას, გაფორმებისას ან მის შემდგომ, მიუხედავად იმისა ეს „ინფორმაცია“ მიღებულ იქნა ზეპირი, წერილობითი ელექტრონული, მეხსიერების ბარათის, CD-ის ან ინფორმაციის გადატანის სხვა საშუალების გამოყენებით, „ხელშეკრულების“ 1.5 მუხლში გათვალისწინებული გამონაკლისების გათვალისწინებით. გარდა 1.5 მუხლში აღნიშნული გამონაკლისი შემთხვევებისა, ნებისმიერი ინფორმაცია მიუხედავად იმისა შეიცავს თუ არა ის სათანადო შტამპს ან წარწერას კონფიდენციალობის შესახებ და იყო თუ არა გაფრთხილებული „მიმღები მხარე“ ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ, ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად.

1.5 „კონფიდენციალურ ინფორმაციად“ არ მიიჩნევა და მასზე არ გავრცელდება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული შეზღუდვები, ინფორმაციაზე რომელიც:

1.5.1 გამოქვეყნებულია „ოფერტაში“;

1.5.2 „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და სხვა კანონებით მიეკუთვნება საჯარო ინფორმაციას;

1.5.3 საყოველთაოდ ცნობილი და ხელმისაწვდომია ან ასეთი გახდება სამომავლოდ „მიმღების მხარის“ ბრალეული ქმედების გარეშე; ან

1.5.4 „მხარემ“ მოიპოვა „მესამე მხარისაგან“ ისე, რომ მისი კონფიდენციალობის დაცვას არ ავალდებულებდა შესაბამისი ინფორმაციის გამცემი ან მოქმედი კანონმდებლობა; ან

1.5.5 ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაცია „მიმღები მხარის“ მიერ „ხელშეკრულების“ დარღვევის შედეგად გამჟღავნების გამო გახდა ხელმისაწვდომი); ან

1.5.6 „მიმღები მხარის“ მფლობელობაში იყო კანონიერად „გამმჟღავნებელი მხარის“ მიერ მის მიწოდებამდე; ან

1.5.7 „მხარეები“ წერილობით შეთანხმდებიან, რომ კონკრეტული ინფორმაცია არ არის კონფიდენციალური და გამჟღავნება დასაშვებია; ან

1.5.8 გამჟღავნდება „მხარის“ მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის (მათ შორის კანონქვემდებარე აქტების) მოთხოვნათა დაცვით.

1.6 **„მიმღები მხარე“** - „მხარე“ რომელიც იღებს მეორე „მხარისგან“ კონფიდენციალურ ინფორმაციას.

1.7 **„მესამე მხარე“** - ნებისმიერი პირი, „დაშვების მსრუველის“ და „მაგთიკომის“ გარდა.

1.8 **„ოფერტა“** - „მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების შეთავაზების წინადადება“.

1.9 **„ხელშეკრულება“** - წინამდებარე ხელშეკრულება.

1.10 **„წარმომადგენელი“** - განმარტებულია „ხელშეკრულების“ 4.1 და 4.2 პუნქტებში;

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. „მიმღები მხარე“ ვალდებულია:

2.1.1. დაიცვას მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა, „ხელშეკრულებით“ დადგენილი წესით;

2.1.2. მიიღოს გონივრული ზომები მიღებული ან მისთვის ხელმისაწვდომი „კონფიდენციალური ინფორმაციის“ დაცვისთვის, უზრუნველყოს მისი დაცვის რეჟიმი;

2.1.3. „კონფიდენციალური ინფორმაცია“ გამოიყენოს მხოლოდ იმ მიზნებისათვის, რისთვისაც იგი იქნა მიწოდებული;

2.1.4. არ მოახდინოს „კონფიდენციალური ინფორმაციის“ ან მონაცემების კოპირება, კომპილაცია, თარგმნა ან ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტირება, ასევე ნებისმიერი საინფორმაციო რესურსების შექმნა, გარდა იმ შემთხვევისა თუ აღნიშნული ხორციელდება „დაშვების ხელშეკრულების“ ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით.

2.2. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ:

2.2.1. „კონფიდენციალური ინფორმაცია“ წარმოადენს „გამმჟღავნებელი მხარის“ საკუთრებას და „მიმღებ მხარეს“ უფლება აქვს გამოიყენოს იგი მხოლოდ იმ მიზნებისთვის რა მიზნითაც იგი იქნა მიწოდებული;

2.2.2. დაიცავენ „კონფიდენციალური ინფორმაციის“ საიდუმლოებას და არ დაუშვებენ, რომ „გამმჟღავნებელი მხარის“ მიერ მიწოდებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირებისა, რაიმე ფორმით გამჟღავნდეს მესამე პირის წინაშე;

2.2.3. შეინახავენ და დაიცავენ „კონფიდენციალური ინფორმაციას“ ნებისმიერი არაუფლებამოსილი პირის ხელში მოხვედრისგან „ხელშეკრულებით“, „დაშვების ხელშეკრულების“ და „მხარეთა“ შორის გაფორმებული სხვა გარიგებებით დადგენილი წესით.

2.3. „მხარეები“ ადასტურებენ და გარანტიას იძლევიან, რომ მათ მიერ მიწოდებული „კონფიდენციალური ინფორმაცია“ მოპოვებული აქვთ/ექნებათ კანონიერი გზით და რომ მათ აქვთ შესაბამისი უფლებამოსილება გაუმჟღავნონ მეორე „მხარეს“ ასეთი ინფორმაცია.

3. კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება და დაცვა

3.1. „მიმღები მხარე“ ვალდებულია მიმართოს გონივრულ ზომებს იმისათვის, რომ „გამმჟღავნებელი მხარის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არ

გაამჟღავნოს ან დაუშვას ნებისმიერი „მესამე მხარის“ წვდომა „კონფიდენციალურ ინფორმაციასთან“.

3.2. „კონფიდენციალური ინფორმაციის“ დაცვის გონივრულ ზომებში იგულისხმება ისეთი ზომები, რომლებიც გამორიცხავს „კონფიდენციალური ინფორმაციის“ ხელმისაწვდომობას მესამე პირებისათვის.

3.3. „მიმღები მხარე“ ვალდებულია „კონფიდენციალური ინფორმაციის“ დაცვაზე იზრუნოს ისე, როგორც ანალოგიური შემთხვევაში ზრუნავს ანალოგიურ პირობებში მყოფი საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია კონფიდენციალური ინფორმაციის დასაცავად, ყველა შემთხვევაში, დაცვის ზომა უნდა იყოს არანაკლები მოცულობით, რასაც „მიმღები მხარე“ მიმართავს საკუთარი „კონფიდენციალური ინფორმაციის“ დაცვისათვის.

3.4. „მხარეები“ აცხადებენ, რომ დაიცავენ „კონფიდენციალური ინფორმაციას“ როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით და ასევე პრაქტიკაში დამკვიდრებული საუკეთესო საშუალებების გამოყენებითა და შესაბამისი პროფესიული სტანდარტების დაცვით.

3.5. „კონფიდენციალური ინფორმაციის“ „მიმღები მხარისთვის“ გადაცემა/გამჟღავნება არ გულისხმობს რაიმე სახის უფლებების, მათ შორის საავტორო, პატენტების, სასაქონლო ნიშნების ან მხარის ინტელექტუალური საქმიანობის პროდუქტის, გადაცემას ან დათმობას „მიმღები მხარისთვის“.

3.6. „კონფიდენციალური ინფორმაციის“ გამჟღავნებად ითვლება „მიმღები მხარის“ ნებისმიერი ქმედება ან უმოქმედობა, რომლის შედეგადაც „კონფიდენციალური ინფორმაცია“ ნებისმიერი შესაძლო ფორმით (ზეპირი, წერილობითი, ელექტრონული, სხვა ფორმით, მათ შორის, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით) „ხელშეკრულების“ პირობის დარღვევით ხდება ცნობილი ან ხელმისაწვდომი „მესამე მხარისთვის“.

3.7. გარდა „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული შემთხვევებისა, „კონფიდენციალური ინფორმაციის“ „მესამე მხარისთვის“ შესაბამისი შეზღუდვებით მიწოდება „მიმღები მხარისთვის“ დასაშვებია მხოლოდ „გამმჟღავნებელი მხარის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

3.8. „გამმჟღავნებელი მხარე“ აცნობიერებს და წინასწარ აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ „მიმღები მხარის“ კომპიუტერულმა სისტემებმა (მათ შორის სერვერებმა,

კომპიუტერებმა, ელექტრონული ფოსტის არქივებმა, უსაფრთხოების სისტემებმა და სხვ.) შესაძლოა ავტომატურად განახორციელოს კონფიდენციალური ინფორმაციის კოპირება და მათი დაარქივება და ასეთ შემთხვევაში, „მიმღები მხარე“ ვალდებული იქნება დაიცვას აღნიშნული ინფორმაცია კონფიდენციალურად, ისე როგორც ეს „ხელშეკრულების“ მოქმედების განმავლობაში ევალება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ „ხელშეკრულება“ ვადაზე ადრე შეწყდება.

3.9. „გამმჟღავნებელი მხარე“ აცნობიერებს და წინასწარ აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ თუ „მიმღები მხარის“ პროფესიული სტანდარტები მოითხოვს „კონფიდენციალური ინფორმაციის“ შენახვის ვალდებულებას სახელწიფო ორგანოსთან წარდგენის ან/და აუდიტორიებთან წარდგენის მიზნით, „მიღებ მხარეს“ უფლება აქვს შეინახოს „კონფიდენციალური ინფორმაციის“ ასლები და გამოიყენოს მხოლოდ ასეთი მიზნებისთვის.

4. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება

4.1. „კონფიდენციალური ინფორმაციის“ გამჟღავნებად არ ითვლება მისი გამჟღავნება „მიმღები მხარის“ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირებზე, დასაქმებულებზე, რომლებიც „დაშვების ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის იღებენ ან წვდომა აქვთ „კონფიდენციალური ინფორმაციასთან“ თავისი სამსახურებრივი კომპეტენციის ფარგლებში („წარმომადგენელი”). იმ პირობით, რომ „მიმღები მხარე“ ვალდებულია თავის „წარმომადგენელს“, რომელსაც ხელი მიუწვდებათ „კონფიდენციალურ ინფორმაციასთან“, გაუფორმოს შესაბამისი შეთანხმება „კონფიდენციალური ინფორმაციის“ გაუხმაურებლობაზე.

4.2. „წარმომადგენელი“ ასევე შესაძლოა იყოს პირი, რომელიც არ არის „მიმღები მხარის“ მუშაკი/დასაქმებული, მაგრამ „მიმღები მხარის“ მიერ ჩართულ იქნება „დაშვების ხელშეკრულების“ მოლაპარაკების, გაფორმების ან შესრულების პროცესში (კონსულტანტები, ექსპერტები და ა. შ.), იმ პირობით, რომ:

4.2.1. „წარმომადგენელი“ არ იქნება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრი ან მისი ოჯახის წევრი ან ასეთ პირებთან აფილირებული პირი[1] ან არ იქნება ასეთი პირის კონტროლის[2] ქვეშ/ისევე როგორც არ გაკონტროლდება ასეთი პირის მიერ; და

[1] აფილირებული პირის განმარტება მოცემულია „ოფერტაში“.
[2] კონტროლის განმარტება მოცემულია „ოფერტაში“.

4.2.2. „მიმღები მხარე“ ვალდებულია ასეთ პირთან, გააფორმოს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის შეთანხმება; და

4.2.3. „მიმღები მხარე“ უზრუნველყოს ასეთი პირის მხრიდან „კონფიდენციალური ინფორმაციის“ გაუხმაურებლობის და დაცვის პირობების შესრულებას.

4.3. „მიმღებ მხარეს“ უფლება აქვს „გამმჟღავნებელი მხარის“ თანხმობის გარეშე გაუმჟღავნოს „კონფიდენციალური ინფორმაცია“ იმ სახელმწიფო ორგანოებს, მათ შორის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ აღნიშნული ინფორმაცია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.4. თუ „მიმღები მხარე“ ან მისი „წარმომადგენლები“ ვალდებულნი იქნებიან კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად, გაუმჟღავნონ რაიმე სახის „კონფიდენციალური ინფორმაცია“ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, „მიმღები მხარე“ ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რაც მასზეა დამოკიდებული, რომ უზრუნველყოს „კონფიდენციალური ინფორმაციის“ დაცვა და გასცეს/გაამჟღავნოს „კონფიდენციალური ინფორმაციის“ მხოლოდ იმ მოცულობით, რაც პირდაპირ გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

4.5. „ხელშეკრულებით“ დაშვებულ შემთხვევებში „კონფიდენციალური ინფორმაციის“ გამჟღავნება, არ გულისხმობს მომავალში ასეთი ინფორმაციაზე „ხელშეკრულებით“ დადგენილი შეზღუდვის გაუქმებას.

5. კომუნიკაციის ფორმა

5.1. „ხელშეკრულების“ ფარგლებში „მხარეთა“ შორის კომუნიკაცია წარმოებს წერილობითი ფორმით ან ელექტრონული ფოსტის გამოყენებით.

5.2. წერილობითი ფორმით კომუნიკაცია ან/და მატერიალიზებული ფორმით გამოხატული ინფორმაციის გაცვლა უნდა განხორციელდეს „ხელშეკრულებაში“ მითითებულ მისამართზე.

5.3. ელექტრონული ფორმით კომუნიკაცია ან/და ინფორმაციის გაცვლა უნდა განხორციელდეს „ხელშეკრულებაში „ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

5.4. „ხელშეკრულებაში“ მითითებული მისამართების ცვლილება შესაძლებელია მეორე მხარის მიერ შეტყობინების საფუძველზე.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. თითოეული „მხარე“ პასუხისმგებელია მეორე „მხარის“ წინაშე გაკეთებული განცხადებებისა და დაპირებების სისწორეზე და პასუხს აგებს მათი დარღვევის გამო.

6.2. „ხელშეკრულებით“ ნაკისრი რომელიმე ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი „მხარე“ ვალდებული იქნება აუნაზღაუროს დაზარალებულ „მხარეს“ მიყენებული ზიანი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.3. „წარმომადგენლის“ მიერ „ხელშეკრულების“ პირობის დარღვევის შემთხვევაში, მის ქმედებაზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება „მიმღებ მხარეს“.

6.4. „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, „მიმღები მხარე“ ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს „გამამჟღავნებელ მხარეს“ თუ მისთვის ან მისი „წარმომადგენლისთვის“ ცნობილი გახდება „მესამე მხარეზე“ გადაცემის/გამჟღავნების ფაქტის ან ასეთის საშიშროება, ასევე „კონფიდენციალური ინფორმაციის“ უკანონო მიღების ან გამოყენების შესახებ და უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება „კონფიდენციალური ინფორმაციის“ მესამე პირებზე გადაცემის/გამჟღავნების შედეგების აღსაკვეთად/შესამცირებლად.

6.5. „მიმღები მხარე“ თანხმდება აუნაზღაუროს და დაიცვას „გამამჟღვანებელი მხარე“ ნებისმიერი და ყველა სახის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზიანისგან, დანაკარგებისგან, ხარჯებისაგან (რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ადვოკატისათვის და ექსპერტისათვის გონივრულობის ფარგლებში გადახდილი ანაზღაურებით), რომელიც თითოეულ შემთხვევაში გამოწვეული იქნება „მიმღები მხარის“ ან მისი „წარმომადგენლის“ „ხელშეკრულების“ რომელიმე დებულების დარღვევით.

6.6. „მხარეები“ აცნობიერებენ, რომ „ხელშეკრულების“ დარღვევისათვის მხოლოდ ფულადი სახით ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია არასაკმარისი აღმოჩნდეს „გამამჟღავნებელი მხარის“ დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, „გამამჟღავნებელ მხარეს“ უფლება ექნება მოსთხოვოს „მიმღებ მხარეს“ გარკვეული ქმედების შესრულება ან/და გარკვეული ქმედებების შესრულებისაგან თავის შეკავება.

7. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

7.1. „ხელშეკრულება“ ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს „დაშვების ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდით.

7.2. თუ „მხარეები“ ვერ მოილაპარაკებენ „დაშვების ხელშეკრულების“ გაფორმებაზე, მოლაპარაკების შეწყვეტის მომენტიდან „ხელშეკრულება“ ჩაითვლება შეწყვეტილად.

7.3. ნებისმიერი მიზეზით „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შემთხვევაში „მიმღებ მხარეს“ უნარჩუნდება „კონფიდენციალური ინფორმაციის“ „ხელშეკრულების“ პირობებით გათვალისწინებით დაცვის ვალდებულება „ხელშეკრულების“ შეწყვეტიდან 6 წლის განმავლობაში.

7.4. „ხელშეკრულების“ 7.3 პუნქტის გათვალისწინებით, „ხელშეკრულების“ მე-6 მუხლით გათვალისწინებული „მხარეთა“ უფლებები ინარჩუნებს ძალას „ხელშეკრულების“ შეწყვეტიდან 6 წლის ვადით.

8. დასკვნითი დებულებანი

8.1. „დაშვების ხელშეკრულებით“ ან „მხარეთა“ შორის სხვა გარიგებით შესაძლებელია დადგინდეს „კონფიდენციალური ინფორმაციის“ ან მისი ნაწილის დაცვის განსხვავებული რეჟიმი. იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს წინააღმდეგობა/კოლიზია „ხელშეკრულების“ და „დაშვების ხელშეკრულებას“ ან „მხარეთა“ შორის გაფორმებულ სხვა გარიგების პირობებს შორის, უპირატესი ძალა ექნება „დაშვების ხელშეკრულებით“ ან „მხარეთა“ შორის გაფორმებულ სხვა გარიგებით დადგენილ პირობებს.

8.2. „მხარეებს“ არ აქვთ უფლება მისთვის „ხელშეკრულებით“ მინიჭებული ნებისმიერი უფლება გადასცენ სხვა პირს მეორე „მხარის“ წერილობითი თანხმობის გარეშე.

8.3. „ხელშეკრულების“ რომელიმე დებულების ბათილობა ან ძალადაკარგულად გამოცხადება არ გამოიწვევს მთლიანი „ხელშეკრულების“ ბათილობას ან ძალადაკარგულად გამოცხადებას.

8.4. „ხელშეკრულება“ რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.5. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „ხელშეკრულების“ ფარგლებში წამოჭრილ სადავო საკითხებს გადაჭრიან ურთიერთშეთანხმებით ხოლო სადავო საკითხის ურთიერთშეთანხმების გზით, სადავო საკითხის წამოჭრიდან 30 დღის ვადაში.

8.6. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში „მხარე“ უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს (თბილისის საქალაქო სასამართლოს).

8.7. „ხელშეკრულება“ გაფორმებულია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა.

9. მხარეთა ხელმოწერები:

„მაგთიკომის“ სახელით „დაშვების მსურველის“ სახელით